

ერაზმ როტერდამელის, მშვიდობის ჩივილის ანალიზი და მისი გავლენა
თანამედროვე სამყაროზე

რომანი ბერიკელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მალხაზ სონღულაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რომანი ბერიკელაშვილი _____ 27.06.2016

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ადამიანის არჩევანს ევოლუციასა და რევოლუციას შორის. ტექსტში აღწერილია შედეგები, თუ რა მოჰყვა ეპოქებს, სადაც ხშირი იყო რევოლუციები. ასევე ვეცნობით რევოლუციონერი მმართველის პიროვნებას, რომელიც ჰბადებს კითხვას_ გვსურს თუ არა იმ საზოგადოების ნაწილი ვიყოთ, რომლის მეთაურიც ისეთი მმართველია, როგორც ნიკოლო მაკიაველიმ შექმნა: წიგნში „მთავარი“.

ნაშრომში წარმოდგენილია ადამიანთა მშვიდობიანად თანაარსებობის იდეა. რომელიც ერთხმ როტერდამელმა განიხილა წიგნში_ „მშვიდობის ჩივილი“, წიგნის მთავარი პერსონაჟია გაპიროვნებული „მშვიდობა“, რომელიც დედამიწაზე დადის და ხალხს სთავაზობს ევოლუციას, მაგრამ ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ მას და სდევნიან.

კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დღევანდელი მსოფლიო დგას არჩევანის წინაშე_ უნდა აირჩიოს რევოლუცია, რომელსაც კერძო პირის ეგოისტური იდეები უდევს საუბელად, თუ_აირჩიოს ევოლუციური განვითარების გზა, რომელიც საბოლოოდ მიდის იმ აზრამდე, რომ ადამიანმა ეგოიზმი და პატივმოყვარეობა უნდა განდევნოს საკუთარი თავიდან და იზრუნოს საყოველთაო მშვიდობაზე, სადაც კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა, მშვიდობიანი მოლაპარაკება იქნება. დავის ყოველი მონაწილე კი, თანაბრად კმაყოფილი დარჩება.

კვლევა მიზნად ისახავს, გამოკვეთოს ის მთავარი პრობლემები, რომელიც აფერხებს ადამიანთა შორის მშვიდობიანად თანაცხოვრებას, და დააჩქაროს პროცესი რომელიც ნამდვილად დაიწყო, მაგრამ არ მიმდინარეობს ისეთი სწრაფი ტემპით, რომ თავიდან აგვარიდოს ის ომები და ძალადობა, რომელიც დღესაც ხდება სხვადასხვა ქვეყანაში.

Abstract

The following work, designated for master's degree, concerns the choice between evolution and revolution. It takes a close look at the society where revolutions were rather frequent. The study also raises a question whether we would like to be a part of the society which is ruled by a leader who is similar of the figure created in Niccolò di Bernardo dei Machiavelli's book called *the Main*.

The present work concerns the idea of peaceful co-existence of all human beings. This idea is discussed in the book of Erasmus of Rotterdam called the Complaint of Peace. The main figure of the book is the personified peace who is wondering around and suggesting everyone to take the way of evolution But no one pays any attention to him and in fact he is being persecute by everyone.

The study is relevant since the contemporary world has to choose between a revolution, which is based on self-centeredness of the individual, and evolution, which is suppressing the self-centeredness and seeking global peace by the means of dialogue and negotiation. At the end of the confrontation everyone is meant to be content.

The study is determined to identify main problems, that represent hindrances for peaceful coexistence of diverse groups of people, to accelerate the peace process that has already been started. But the process is way too slow to avert wars and conflicts in different parts of the world.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემ ხლმძღვანელს_ ბ.ნ მალხაზ სონღულაშვილს, რომელიც გავიცანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და ორი წლის განმავლობაში ვესწრებოდი მის ლექციებს. ჩვენ აღმოგვაჩნდა საერთო ინტერესები, რის საფუძველზეც ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა უნივერსიტეტის გარეთაც. მისი მშვიდობიანი ცხოვრების წესი, ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, რამაც მომცა სტიმული, დამეწერა ნაშრომი სადაც მკითხველი მიხვდება, თუ რა მშვენიერია ადამიანი, რომელმაც დათრგუნა ეგოიზმი და ამპარტავნება.

ასევე მადლობას ვუხდით ქეთევან ზაალიშვილს, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანია. ის ყოველთვის მეხმარებოდა საინტერესო ინფორმაციის მოძიებაში და პირადი ცხოვრებისეული მაგალითებით მარწმუნებდა, რომ მშვიდობა საუკეთესო რამ არის, რაც შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს ცხოვრების მანძილზე.